შპს „ჯი ენდ ეი ფორვარდი„

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3

სპეციალური დანიშნულების მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს 4

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს 5

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის 6

განმარტებითი შენიშვნები 7

1. **ზოგადი ინფორმაცია** 7
2. **ძირითადი საალრიცხვო პოლიტიკა** 7
3. **მნიშვნელოვანი საალრიცხვო შეფასებები და გადწყვეტილებები** 12
4. **ძირითადი საშუალებები** 13
5. **არამატერიალური აქტივები** 14
6. **ფული და ფულის ექვივალენტები** 14
7. **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** 14
8. **მარაგები** 15
9. **სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები** 15
10. **ამონაგები** 15
11. **ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი** 15
12. **სხვა შემოსულობა (ზარალი)** 16
13. **ფინანსური და სხვა რისკების მართვა** 16
14. **პირობითი ვალდებულება** 20
15. **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები** 20
16. **ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება** 20

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	12/31/2019		12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	527,332		123,025
არამატერიალური აქტივები	1,689		1,794
საინვესტიციო ქონება	0		0
ბიოლოგიური აქტივი	0		0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0		0
	529,021		**124,819**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	58,315		25,750
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	264,662		304,054
მარაგები	3,022		529
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	0		0
	325,999		**330,333**
მთლიანი აქტივები	**855,020**		**455,152**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	200,495		29,306
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	574,472		410,567
გადაფასების რეზერვი	0		0
	774,967		**439,873**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	0		0
ანარიცხები	-46		0
გადავადებული შემოსავალი	0		0
	-46		**0**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	0		0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	82,250		20,777
საგადასახადო ვალდებულებები	-2,152		-5,498
გადასახდელი პროცენტი	0		0
გადასახდელი დივიდენდი	0		0
	80,098		**15,278**
მთლიანი ვალდებულებები	**80,052**		**15,278**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**855,020**		**455,152**

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

სპეციალური დანიშნულების მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

	12/31/2019		12/31/2018
ამონაგები	3,386,694	-	2,689,370
თვითღირებულება	(1,838,512)		-
საერთო მოგება	**1,548,181**		**2,689,370**
სხვა შემოსავლები	100,422		-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(788,416)		(654,410)
მიწოდების დანახარჯები	(537,138)		(1,923,178)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	9,616		2,548
სხვა ხარჯები	(68,957)		(10,249)
საოპერაციო მოგება	**263,708**		**104,082**
ფინანსური შემოსავალი	-		-
ფინანსური ხარჯი	-		-
ფინანსური ხარჯი - წმინდა	-		-
მოგება დაბეგვრამდე	**263,708**		**104,082**
მოგების გადასახადი	-		-
წმინდა მოგება	**263,708**		**104,082**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	-		-
მთლიანი სრული შემოსავალი	**263,708**		**104,082**

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	**2,400**	**0**	**321,381**	**323,781**
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	26,906			26,906
წმინდა მოგება	-	-	104,082	**104,082**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	26,906	-	104,082	**130,988**
გაცემული დივიდენდი	-	-	(14,895)	**(14,895)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**29,306**	**-**	**410,567.23**	**439,873**
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	**171,189**			**171,189**
წმინდა მოგება	-	-	263,708	**263,708**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	171,189	-	263,708	**434,898**
გაცემული დივიდენდი	-	-	(99,804)	**(99,804)**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	**-**
2019 წლის 31 დეკემბერი	**200,495**	**-**	**574,472**	**774,967**

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	12/31/2019	12/31/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	**263,708**	**104,082**
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	**62,152**	**31,157**
- გადასახადები	-	-
- ცვეთა	51,741	28,609
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
- მარაგების გაუფასურება	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
- ცვლილება ანარიცხებში	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	794	-
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	9,616	2,548
- წმინდა ფინანსური ხარჯი	-	-
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	**109,939**	**(111,656)**
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	39,393	(79,873)
- მარაგები	(2,493)	1,577
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	61,473	(47,730)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	11,611	14,371
- გადავადებული შემოსავალი	-	-
- ანარიცხები	(46)	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	**435,799**	**23,583**
- მიღებული პროცენტი	-	-
- გადახდილი პროცენტები	-	-
- გადახდილი მოგების გადასახადი	(8,265)	(7,185)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**427,534**	**16,397**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(456,738)	(40,464)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
- ბიოლოგიური აქტივების შეძენა	-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
- მიღებული დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(456,738)**	**(40,464)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	171,189	26,906
- სასესხო ვალდებულების ზრდა	-	-
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-	-
- გადახდილი დივიდენდები	(99,804)	(14,895)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**71,386**	**12,011**
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ეквივალენტებისა და საბანკო	**42,182**	**(12,057)**
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ეквივალენტებისა და საბანკო	25,750	40,354
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(9,616)	(2,548)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ეквივალენტებისა და საბანკო	**58,315**	**25,750**

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი ენდ ეი ფორვარდი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2005 წლის 24 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ფოთის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 215126094
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საექსპედიტორო მომსახურება და საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზება.
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დამფუძნებლები არის ორი ფიზიკური პირი: საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას რეგისტრირებილი ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია. კომპანიის მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: პერიოდის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში: საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის, პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამასახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.თანმხლები ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) 2015 წლის რედაქციის მიხედვით. ანგარიშგება მომზადდა პირველად „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება -„მსს ფასს-ზე გადასვლა“

ფინანსური ინსტრუმენტები
ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალნსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები
კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.
კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები
ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპრიცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები
ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება
კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა
კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები
ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა
კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა
ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები
ა) **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**
ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.
მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა
ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით,** სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	**სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)**
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	10-17 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-15 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.
მარაგები
მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.
წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.
მარაგების თვითღრებულება გამოითვლება FIFO მეთოდით, საწყობების მიხედვით.

დაბეგვრა
საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვადება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია

გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.
თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება
კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.
მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.
თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.
ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები
ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.
ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.
ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან
კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:
- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა
თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი
ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.
2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

<u>საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი</u>

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა,

შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

4. ძირითადი საშუალებები

ლარში	შენობა ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	მიწა	დაუმონტაჟებელი მოწყობილებები	ჯამი
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	**-**	**131,205**	**29,172**	**-**	**147,345**	**-**	**-**	**-**	**307,722**
შესყიდვა	-	171,577	5,939	-	289,719	-	-	-	467,235
გასვლა	-	-	1,059	-	56,528	-	-	-	57,587
გაუფასურება									-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	**-**	**302,782**	**34,052**	**-**	**380,536**	**-**	**-**	**-**	**717,370**
დაგროვილი ცვეთა									
2018 წლის ბოლოს მდგ	**-**	**98,077**	**6,993**	**-**	**79,627**	**-**	**-**	**-**	**184,697**
ცვეთის ხარჯი	-	21,699	2,932	-	27,005	-	-	-	51,636
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-	265		46,030				46,295
2019 წლის ბოლოს მდგ	**-**	**119,776**	**9,660**	**-**	**60,602**	**-**	**-**	**-**	**190,038**
საბალანსო ღირებულება									
2018 წლის ბოლოს	**-**	**33,129**	**22,179**	**-**	**67,718**	**-**	**-**	**-**	**123,025**
2019 წლის ბოლოს	**-**	**183,006**	**24,392**	**-**	**319,934**	**-**	**-**	**-**	**527,332**

5. არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	**2,100**			**2,100**
შემოსავლა	-			-
გასვლა	-			-
2019 წლის ბოლოს	**2,100**	**-**	**-**	**2,100**

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2018 წლის ბოლოს	**306**			**306**
პერიოდის ამორტიზაციი	105			105
გასულის დაგროვილი ამ	-			-
2019 წლის ბოლოს	**411**	**-**	**-**	**411**

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2018 წლის ბოლოს	**1,794**	**-**	**-**	**1,794**
2019 წლის ბოლოს	**1,689**	**-**	**-**	**1,689**

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	**2018**
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	58,315	25,750
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები		
სულ	**58,315**	**25,750**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	263,402	303,224
საეჭვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	-
გადახდილი ავანსები	1,260	830
სხვა მოთხოვნები	-	-
	264,662	304,054

8. მარაგები

მარაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2018	31/12/2017
მზა პროდუქცია	-	-
ნედლეული	529	2,106
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
საქონელი	-	-
სხვა მარაგები	-	-
	529	2,106

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებუ;ებები	82,725	20,392
გადასახელი ხელფასები	-	-
ვალდებულება პერსონალის წინაშე	(475)	385
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
	82,250	**20,777**

10. ამონაგები

ამონაგები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	**2018**
საქონლის გაყიდვა	-	-
მომსახურების გაწევა	3,386,694	2,689,370
სულ	**3,386,694**	**2,689,370**

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	425,947	333,752
ცვეთა და ამორტიზაცია	51,741	28,609
საგადასახადო ხარჯი	3,262	1,170
საკონსულტაციო ხარჯი	5,700	4,800
რემონტის ხარჯი	72,825	56,371
ბანკის მომსახურება	21,215	19,131
წარმომადგენლობითი ხარჯები	4,255	3,621
იჯარის ხარჯი	23,204	22,209
ტრანსპორტირების ხარჯები	-	36,606
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	12,767	2,286
კომუნიკაციის ხარჯები	3,813	4,014
კომუნალური ხარჯები	734	727
დაზღვევის ხარჯი	160,820	138,317
საკანცელარიო ხარჯი	2,132	2,797
	788,416	**654,410**

12. სხვა შემოსულობა (ზარალი)

	2019	2018
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	9,616	2,548
სულ	**9,616**	**2,548**

13. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა.
_ გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დაკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
_ შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
_ შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/ დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში). კომპანია მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს მომხმარებლებისთვის საკრედიტო ლიმიტების დაწესებით და აღნიშნული ლიმიტების მონიტორინგით.
კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივების სახეობების მიხედვით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გაცემული სესხები	ჯამი
ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე	58315		-	58315
ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე				
ვადაგადაცილება 0-30 დღე	-	264662	-	264662
ვადაგადაცილება 31-90 დღე	-	-	-	-
ვადაგადაცილება 91-180 დღე	-	-	-	-
ვადაგადაცილება 181-360 დღე	-	-	-	-
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	-	
ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე	-	264662	-	264662
სულ ფინანსური აქტივები გაუფასურებამდე	58315	264662	-	322977
გაუფასურების რეზერვი	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	58315	264662	-	322977

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას“ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისათვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: “ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე“, “ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე“, “ინდივიდუალურად გაუფასურებული“ და “კოლექტიურად გაუფასურებული“.
პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.
მეორე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელიც არის ვადაგადაცილებული, თუმც ობიექტური მტკიცებულება მათ გაუფასურებასთან დაკავშრებით არ გამოვლენილა. ასევე, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება აქტივები, რომელიც ვადაგადაცილებულია, თუმცა მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება და უზრუნველყოფა სრულად ფარავს აქტივის ღირებულებას.
მესამე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე და იქმნება შესაბამისი რეზერვი.
მეოთხე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელთა დაკავშირებითაც არსებობს გაუფასურების მტკიცებულება და კომპანია ქმნის ჯგუფურ რეზერვს.
კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც დაფუძნებულია დარჩენილ არადისკონტირებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, კომპანია გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხივს ვალდებულებების დაფარვას.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები მიღებული სესხები სავაჭრო და სხვა ვალდებულე	82 250				82 250
სულ დაუდისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	82 259				82 250

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე , ფიანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს. ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას:

	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები მიღებული სესხები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	82 250				82 250
სულ დაუდისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	82 250				82 250
ფინანსური აქტივები ფული და ფულის ეკვივალენტი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაცემული სესხები	58 315 264622				58 315 264622
სულ ფინანსური აქტივები	322 937	1,			322937
ლიკვიდურობის სხვაობა	240 687				240 687
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	240 687				240 687

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან-სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	58,315	57938		116,254
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	232,676	31986.21		264,662
გაცემული სესხები		-			-
სულ ფინანსური აქტივები		**290,991**	**89,924**	**-**	**380,915**

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სესხები			0		-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	80,527			80,536
სულ ფინანსური ვალდებულებები		**80,527**	**-**	**-**	**80,536**

ღია სავალუტო პოზიცია	**210,464**	**89,924**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისათვის მათ ეფექტს 20%იანი ცვლილებით.
2019 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგება აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ზეგავლენა მოგება/ზარალზე	საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	**17985**	
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	**-17985**	
ევროს გამყარება 20%-ით	0	
ევროს დასუსტება 20%-ით	0	

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ა.შ. საბაზრო ოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც,

რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.
კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი
- კონტროლების და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანეიტრალებლად საჭირო კონტროლების პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

14. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცემულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 23 სექტემბერს.